ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა
კომისიის სხდომის

# ო ქ მ ი N 41

**სხდომის ჩატარების დრო:**
**27 სექტემბერი, 2023 წელი**

**სხდომის ჩატარების ადგილი:**
ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N 3,
ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი **თეა ჯუღელი.**

**ესწრებოდნენ:**

იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრები:

დიმიტრი მხეიძე, პაატა ლილუაშვილი, ბაქარ მახარაძე, ბექა ქებულაძე, გია ბასილაძე, ხათუნა არველაძე, ლაშა შალამბერიძე.

**სულ:** 8 წევრი.

**არ ესწრებოდნენ:**

რომან ქვაჩაკიძე, თედო მესხი, კახაბერ გაბუნია.

**სულ:** 3 წევრი

**სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, **ბატონი გენადი კუჭუხიძე**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **ქალბატონი თინათინ ბერიშვილი.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის $M^3$ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის

ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

2. „ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერებისა და მომსახურების საფასურის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N396 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ბატონი გენადი კუჭუხიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდა კომისიის წევრები: რომან ქვაჩაკიძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი- „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M³ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა თინათინ ბერიშვილმა.

(დადგენილება თან ერთვის)

**ქალბატონმა თინათინ ბერიშვილმა** განმარტა: - „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილების მეორე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მესამე პუნქტი: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საჯარო და კერძო სამართლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები უფასოდ გადაადგილდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე.“

**ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:**

**თეა ჯუღელი:** - „ძალიან დიდი შეღავათი იქნება მოსწავლეებისათვის ეს ცვლილება.“

**ხათუნა არველაძე:** - „აქვე მინდა დავამატო, ჩემი ინიციატივაც ამ საკითხს ეხებოდა საგზაო ნიშნების დამონტაჟებას სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორიცაა მწოლიარე პოლიციელები, ვიდეო თვალი და ა.შ. მაგალითად, N 13 საჯარო სკოლის წინ 5 შემომავალი გზაა და ფაქტიურად არცერთი საგზაო ნიშანი არ არის. ამიტომ ეს საკითხიც გასათვალისწინებელია.“

**გია ბასილაძე:** - „მეეზოვეებსაც უნდა ჰქონდეთ შეღავათები, არამარტო მოსწავლეებს. მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ ქალაქისთვის, ხელფასები არც ისე დიდი აქვთ და ამ შეღავათებით მაინც ისარგებლონ. ასევე, საგზაო მოძრაობის რეგულირებას სკოლების მიმდებარედ, ეს ისედაც შედის მერიის უფლებამოვალეობაში და მსგავსი საკითხები სკოლის დაწყებამდე უნდა გვარდებოდეს და არა სწავლის დაწყების შემდეგ.“

**ლაშა შალამბერიძე:** - „ამ კომისიას არ ეხება, თუმცა უნდა ვთქვა, ტორპედოს საწვრთნელი ბაზა სადაც არის, ნიკეას და ვაკის უბანს შორის, იქ არ მიდის ტრანსპორტი, არც ქალაქის ცენტრიდან, ტრანსპორტი არაფერი არ მოძრაობს, ბავშვებს კილომეტრი-კილომეტრნახევრის ფეხით გავლა უწევთ, 400-ზე მეტი ბავშვი დადის მაგ ტერიტორიაზე.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა **თეა ჯუღელმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიების წევრებმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე სამგზავრო ტარიფის ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 2.** დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს:**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი - „ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერებისა და მომსახურების საფასურის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N396 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოვალების შემსრულებელმა, ბატონმა **გენადი კუჭუხიძემ.**

(განკარგულება თან ერთვის)

ბატონმა **გენადი კუჭუხიძემ** განმარტა: - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106-ე მუხლის მე-6 ნაწილი განსაზღვრავს, რომ ა(ა)იპს, რომელსაც აფუძნებს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, თვითონ ხდება ვალდებული მიიღოს გადაწყვეტილება იურიდიული პირისათვის ფინანსური სახსრების განსაზღვრის შესახებ. ამდენად, ის განკარგულება რომელიც იქნა მიღებული საკრებულოს მიერ ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს. საფასური ისევ რჩება, ოღონდ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი თავისი ბრძანებით.“

**საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა, დებატები არ წარმართულა.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა ჯუღელმა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიების წევრებმა.

**ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

**მუხლი 1.** მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის დათვალიერებისა და მომსახურების საფასურის შემოღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 მაისის N396 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

**მუხლი 2.** დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

**საკრებულოს იურიდიულ საკითხთა**
**კომისიის თავმჯდომარე**
**თეა ჯუღელი**